ხელშეკრულება №235
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქობულეთი 23 დეკემბერი 2013 წელი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის, „ბ" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის, მე-3 პუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 20 დეკემბრის №01-19/977 ბრძანების შესაბამისად, ერთის მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ელგუჯა ბაგრატიონის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე „ტატიანა მგელაძე" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ტატიანა მგელაძის სახით, ვდებთ ხელშეკრულებას „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ".

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საახალწლო ნაძვის ხეების და აქსესუარების შესყიდვა (39298910 - საშობაო ნაძვის ხე) (შემდგომში „საქონელი"), „დანართი №1"-ის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1000 (ერთიათასი) ლარს (ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფისის მუხლი).
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონელის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის და შესაბამისი სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში.
4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტებზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 საქონლის მიღება ჩაბარებას ახორციელებს უფლებამოსილი პირი, კერძოდ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში, რომელიც აფორმებს შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.
5.3 მიწოდებული საქონელის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონელის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. საქონელის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საქონელის მიწოდების ადგილად განისაზღვრება ქალაქ ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა.
6.2 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) კალენდარული დღე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობის შესაბამისად.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონელის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობის შესაბამისად მისი მიწოდება.

8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.
8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაშიმეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. „შემსყიდველი“–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

14.1 „შემსყიდველი“–ს მისამართი: ქალაქ ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
14.2 „შემსყიდველი“–ს საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“, ბანკის კოდი **LBRTGE22,** ა/ა **GE56LBO120113125552000,** საიდენტიფიკაციო კოდი **247001890.**
14.3 „შემსყიდველი“ – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

15. „მიმწოდებელი“–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1 „მიმწოდებელი“–ს მისამართი: ქალაქ ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა №6;
15.2 „მიმწოდებელი“–ს საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ , ბანკის კოდი **BAGAGE22,** ა/ა **GE83BG0000000182249900,** საიდენტიფიკაციო კოდი **61004011340.**
15.3 „მიმწოდებელი“– ინდ. მეწარმე „ტატიანა მგელაძე“

„შემსყიდველი“ – ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ელგუჯა ბაგრატიონი

„მიმწოდებელი“ – ინდ. მეწარმე „ტატიანა მგელაძე“ ტატიანა მგელაძე

ფასების ცხრილი

№	დასახელება	მახასიათებლები	რაო-ბა	ერთეულის ღირებულება	მთლიანი ღირებულება
1	საახალწლო ნაძვის ხე	მასალა: ხელოვნური; სიმაღლე: 150 სმ; ფერი: მწვანე; მყარი მეტალის სადგამით ბრუნავი	1	169,00	169,00
2	საახალწლო ნაძვის ხე (პატარა)	მასალა: ხელოვნური; სიმაღლე: 50 სმ; ფერი: მწვანე	3	69,50	208,50
3	საახალწლო ბაფთა	მასალა: სინთეთიკა ზომა: არანაკლებ 40 სმ	10	3,00	30,00
4	საახალწლო ფიფქი	მასალა: პენოპლასტი ზომა: არანაკლებ 10 სმ ბრჭყვიალა	15	1,50	22,50
5	საახალწლო ბურთი	ზომა:არანაკლებ 5 სმ ფერი: წითელი მასალა:პლასტმასი	40	3,50	140,00
6	საახალწლო ბურთი	ზომა: არანაკლებ 5 სმ ფერი: თეთრი მასალა:პლასტმასი	40	3,50	140,00
7	საახალწლო ბურთი	ზომა: არანაკლებ 5 სმ ფერი: ლურჯი მასალა:პლასტმასი	40	3,50	140,00
8	საახალწლო ბურთი	ზომა: არანაკლებ 10 სმ ფერი: თეთრი მასალა:პლასტმასი	10	4,50	45,00
9	საახალწლო ბურთი	ზომა: არანაკლებ 10 სმ ფერი: წითელი მასალა:პლასტმასი	10	4,50	45,00
10	საახალწლო განათება	ნათურების რაოდენობა: არანაკლებ 150 ნათურა განათება: ყვითელი ნათებით ზომები: 200-300 სმ	4	15,00	60,00
11	ჯამი				

ინდ. მეწარმე „ტატიანა მგელაძე“ ტატიანა მგელაძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01-19/977

2013 წლის 20 დეკემბერი
ქ.ქობულეთი

გამარტივებული წესით შესყიდვის პროცედურების დაწყების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის, მე–3 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობლის 2013 წლის 19 დეკემბრის №01-14/1892 მომართვის მომართვის შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. საახალწლო ნაძვის ხეების და აქსესუარების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის წესით;
2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხელშეკრულება გააფორმოს 1`000.00 (ერთიათასი) ლარის ფარგლებში, მხოლოდ იმ მიმწოდებელთან, რომელიც აკმაყოფილებს №SPA130027774 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მოთხოვნებს;
3. ანგარიში ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, განხორციელებული პროცედურების შესახებ, თანდართული დოკუმენტაციით, წარადგინოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე;
4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის იურიდიულმა სამსახურმა, შესყიდვის განხორციელების შემდეგ, დაუყოვნებლივ აცნობოს განხორციელებული შესყიდვის შესახებ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ე. ბაგრატიონი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ქობულეთი 23.12.2013 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ საახალწლო ნაძვის ხეებისა და აქსესუარების (39298910 - საშობაო ნაძვის ხე) შესყიდვის განხორციელებაში, ინდივიდუალური მეწარმე „ტატიანა მგელაძე“-ს მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

საკრებულოს თავმჯდომარე ელგუჯა ბაგრატიონი